საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 14083/01
29/12/2021

14083-01-2-202112292258

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N21115 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. სტორის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (2017 წლის საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი), სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო 450 მ-იანი გაბიონის (GPS კოორდინატები: X – 535949.88, Y - 4659900 და X - 536068.87, Y - 4659477.71) მოწყობის ადგილის მიმდებარედ, მდ. სტორის მარჯვენა მხარეს, ადგილი აქვს გვერდით ეროზიულ მოქმედებას, რომელიც იწვევს სოფ. ლალისყურის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ტერიტორიის დატბორვას-დაშლამვას და მაგისტრალური მილსადენის თაროს დამცავი ბეტონის კუბებიანი ნაპირსამაგრის დეფორმაციას. ამასთან, მილსადენის ტრასის ზედა ნაწილში, მდ. სტორის მარჯვენა ფერდობზე, განვითარებულია მეწყრული სხეული, რომლის რეაქტივიზაცია ციკლურ ხასიათს ატარებს და აქტიური გვერდითი ეროზიული მოქმედების შედეგად მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო გააქტიურება. აღნიშნულ ადგილზე მდ. სტორი მიედინება ვიწრო კალაპოტში. მარცხენა ნაპირის გამაგრებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მარჯვენა ნაპირზე გვერდითი ეროზიული პროცესების გაძლიერება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო უბანზე გასამაგრებელია მდინარის ორივე ნაპირი. ამასთან, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს მდ. სტორის ღვარცოფული ბუნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044